სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

(არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

მატჩი	რუსთავის „ხარები“ - თბ „ხვამლი“		
გუნდი	თბ „ხვამლი“	შეჯიბრი	დიდი 10
მატჩის თარიღი	28/01/2024	მატჩის ადგილი	რუსთავი, ხარები არენა
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
პიროვნება, სტატუსი	მწვრთნელი	დაბადების თარიღი	
სახელი, გვარი	ერეკლე ფერაძე		
☒მატჩის ოფიციალური პირი ☐პიროვნება	მატჩის IV მსაჯი, რატი რატიანი	დარღვევა	☐ აღიარებულია ☐ უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია - 8.14 არ გამოიყენოს უხეში ან შეურაცხმყოფელი ლექსიკა მატჩის ოფიციალურ პირების, მოთამაშეების, პიროვნებების, და/ან მაყურებლის მიმართ;		☐ წითელი ბარათი ☒ საითინგი ☐ სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ :

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	30/01/2024	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ვახტანგ სამხარაძე, ირაკლი ჩიქავა, ედუარდ ნაჭყებია		
დამრღვევის დასწრება	☒ კი ☐ არა	სხვა დამსწრეები : ☐ კი ☐ არა	
დამრღვევის წარმომადგენელი		აღნიშნეთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	მატჩის IV მსაჯის, რატი რატიანის საითინგი		

დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის IV მსაჯის, რატი რატიანის საითინგი;
2. მატჩის მეთვალყურის, ნათია გავაშელიშვილის სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;
3. მატჩის კიდის მსაჯის, გიგა მშვენიერაძის სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;

დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)

არა.

დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება

თბ „ხვამლი“-ს მწვრთნელი, ერეკლე ფერაძე დაეთანხმა მსაჯის საითინგში აღნიშნულ დისციპლინარულ დარღვევას. მისი განცხადებით მან შეურაცხყოფად მიიღო IV მსაჯის ტონი რომლითაც მსაჯმა მას მიმართა რეპლიკით „შედი ზონაში რომ გეუბნები“ რის შემდეგაც მან „ლაწირაკი“ უწოდა მატჩის IV მსაჯს. ერეკლე ფერაძემ წუხილი გამოთქვა მომხდარი ინციდენტის გამო და განმარტა, რომ მისი საქციელი მაღალი ემოციური ფონით იყო გამოწვეული, თუმცა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მატჩის ოფიციალურ პირებსაც მართებთ გააკონტროლონ თუ რა ტონით მიმართონ და მისცენ შენიშვნა სხვა პირებს.

ფაქტობრივი მოცემულობა და მსჯელობა

1. 28/01/2024 გაიმართა დიდი 10-ს XII ტურის მატჩი რუსთავის „ხარები“-სა და თბ „ხვამლს“ შორის.
2. მატჩის IV მსაჯის, რატი რატიანის საითინგის მიხედვით (ციტირება) – „დავიწყებ იმით, რომ ჩემს მოვალეობაში რაც შედიოდა ვასრულებდი იმას. ერეკლე ფერაძემ დატოვა ხვამლის სტაფისთვის გამოყოფილი მართკუთხა დახაზული ზონა მოედანზე და აღმოჩნდა სათამაშო მოედნის ხაზთან ძალიან ახლოს. ვიფიქრე რომ იგი მალევე დაუბრუნდებოდა თავის ადგილს თუმცა ეს რომ არ გააკეთა (თანაც თამაში მიდიოდა ძალიან ახლოს სადაც ერეკლე იდგა) მივედი და ვუთხარი - ზონაში რომ დაბრუნდეთ თუ შეიძლება, რაზეც მივიღე ცინიზმი რომ 1-2 ნაბიჯზე ვეკიდებოდი როცა მისთვის არანაირი გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს 1-2 ნაბიჯით უკნიდან დაუძახებს მოთამაშეებს თუ 1-2 ნაბიჯით წინიდან. გვერდითი მსაჯისთვის კი ეს გადამწყვეტია რადგან ის მოედნის იმ ადგილზე დარბის თამაშის განსამსჯელად სადაც ერეკლე იდგა. ეს ყველაფერი ავუხსენი თუმცა მან მაინც გააგრძელა ჩემთან კამათი, რაზეც უბრალოდ წამოვედი თუმცა გამოცლილი არ ვიყავი სიტუაციას უკნიდან კიდე ვისმენ ჩემზე გაუჩერებელ აპელაციას რომ მე თამაშს უნდა ვუყურებდე და არა ის სად იდგებოდა. რაზეც ვუპასუხე - გასაგებად ვთქვი რომ აქ მსაჯი დარბის და ხელი ეშლება. რაც მან ჩათვალა სავარაუდოდ უზრდელობად (ეს ყველაფერი მთავარ მსაჯს მოახსენა რომ მე თურმე უზრდელურად მივმართე) და მომაყენა პირადი შეურაცხყოფა უფრო კონკრეტულად დამიძახა - ლაწირაკი რამდენჯერმე იმდენი ხალხის წინ. რაზეც ვუპასუხე რომ დამშვიდებულიყო თუმცა მან მაინც გააგრძელა ლაწირაკის ჩემს მიმართ ძახილი, სანამ მატჩის კომისარმა იქიდან არ გამომიყვანა. ეს

ყველაფერი გვერდითმა მსაჯა, გიგა მშვენიერაძემაც მოისმინა. სადისციპლინო სამსახურს ვთხოვ, რომ მკაცრად დაისაჯოს ერეკლე ჩემი შეურაცხყოფის გამო როცა მე ჩემს მოვალეობას ვასრულებდი. ეს პირველი შემთხვევა არ არის როცა მისგან მსგავს შეურაცხმყოფელ ცინიკას ვისმენ. 2023-შიც ჩასაფრებული და ა.შ. მეძახა ზუსტად იგივე მიზეზით როცა მივმართე, რაც კარგად მიანიშნებს რომ ერეკლეს მსაჯებთან თანამშრომლობა არ უნდა“.

3. მატჩის მეთვალყურის, ნათია გავაშელიშვილის გამოკითხვის მიხედვით - მატჩის IV მსაჯმა, რატი რატიანმა რამოდენიმეჯერ მისცა შენიშვნა „ხვამლი“-ს მწვრთნელს, ერეკლე ფერაძეს, რომელიც გამოსული იყო ტექნიკური ზონიდან და იმყოფებოდა მოედნის აუტის ხაზთან ახლოს რითაც ხელს უშლიდა მატჩის კიდის მსაჯს. მატჩის ოფიციალური პირის მოთხოვნას ერეკლე ფერაძემ უპასუხა რეპლიკით „შენ ნუ მასწავლი რა ვქნა“. ნათია გავაშელიშვილის განცხადებით, „ხვამლი“-ს მწვრთნელმა IV მსაჯთან შელაპარაკებისას სიტყვიერად შეურაცხყო იგი, კერძოდ მიმარტა რეპლიკით „შენ რა უნდა მასწავლო, შე ლაწირაკო“.
4. მატჩის კიდის მსაჯის, გიგა მშვენიერაძის გამოკითხვის მიხედვით - გ.მშვენიერაძე შეესწრო მატჩის IV მსაჯის და „ხვამლი“-ს მწვრთნელის, ერეკლე ფერაძის შორის მომხდარ შელაპარაკებას რა დროსაც „ხვამლი“-ს მწვრთნელმა, ერეკლე ფერაძემ „შე ლაწირაკო“ უწოდა მატჩის IV მსაჯს რატი რატიანს.

მსჯელობა

სადისციპლინო კომისიამ სხდომაზე წარმოდგენილ ფაქტობრივ მოცემულობებზე მსჯელობისას დაადგინა ქვემოჩამოთვლილი გარემოებები:

ა) თბ „ხვამლი“-ს მწვრთნელის, ერეკლე ფერაძის მხრიდან ადგილი ჰქონდა მატჩის ოფიციალური პირის სიტყვიერ შეურაცხყოფას, რასაც თავადაც აღიარებს;

ბ) თბ „ხვამლი“-ს მწვრთნელის, ერეკლე ფერაძის მხრიდან მატჩის ოფიციალური პირის სიტყვიერ შეურაცხყოფის ფაქტს ადასტურებენ მატჩის მეთვალყურე ნათია გავაშელიშვილი და კიდის მსაჯი გიგა მშვენიერაძე;

გ) თბ „ხვამლი“-ს მწვრთნელმა, ერეკლე ფერაძემ მატჩის ოფიციალური პირის მიმართ გამოყენებული ლექსიკით „შე ლაწირაკო“ დაარღვია სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 8.14 (არ გამოიყენოს უხეში ან შეურაცხმყოფელი ლექსიკა მატჩის ოფიციალურ პირების, მოთამაშეების, პიროვნებების, და/ან მაყურებლის მიმართ;) პუნქტი.

გადაწყვეტილება			
დარღვევის სტატუსი:	☒ მიღებულია	☐ უარყოფილია	☐ სხვა (აღწერეთ)

სანქცია

დისკვალიფიკაცია (კვირა/პერიოდი) **სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 6.1 ა) - ე)**	4(ოთხი) კვირა/თამაში	☐ **წითელი ბარათი საკმარისია**
დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი	01/02/2024	
დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი.	03/03/2024 (დიდი 10-ს საშეჯიბრო ცხრილის მიხედვით)	
ფულადი ჯარიმა და გადახდის ვადა. **სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 9.4. ბ)**	**კლუბ თბ „ხვამლს“ დაეკისროს ფულადი ჯარიმა 300(სამასი) ლარის ოდენობით. ფულადი ჯარიმის გადახდის ვადა განისაზღვროს 2024 წლის 3 მარტამდე.** შენიშვნა: სრკ-ს სადისციპლინო რეგგულაციის 13.8 პუნქტის მიხედვით - სადისციპლინო კომისიის მიერ დაკისრებული ფულადი ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ვალდებულ მხარეს ეძლევა გაფრთხილება და მიეცემა დამატებითი 10 (ათი) კალენდარული დღე ვალდებულების შესასრულებლად. აღნიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, ჯარიმის გადაუხდელობის ყოველ კვირაზე გუნდს დააკლდება 1 (ერთი) საცხრილო ქულა. ჯარიმის გადახდის ვალდებულება ყველა შემთხვევაში რჩება ძალაში.	
სხვა შეზღუდვები/გაფრთხილება	დისკვალიფიცირებულ პიროვნებას დისკვალიფიკაციის პერიოდში ეკრძალება, თბ “ხვამლი“-ს თამაშის დროს ნებისმიერი სახის აქტივობა სათამაშო **პერიმეტრში***. ***სათამაშო პერიმეტრი** - სათამაშო მოედანი და მისი მიდებარე ტერიტორია (ტექნიკური ზონა, სინ ბინი, მატჩის კომისრის ადგილი და ა.შ.). არ მოიცავს სტადიონის ტრიბუნებს.	

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი	თარიღი	01/02/2024

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში. სრკ-ს სააპელაციო კომისიის დებულება** [საპელაციო-კომისიის-დებულება.pdf (rugby.ge)]